თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების
დასავლეთის რეგიონალური ცენტრი
ქ. ქუთაისი, ფოთის ქ N40
giagrdzelidze71@gmail.com
მობ: +995 568 58 58 58
Facebook: https://www.facebook.com/WRCommt

West Regional Center
of Modern Medical Technologies
N40 POTI st. KUTAISI,GEORGIA
giagrdzelidze71@gmail.com
მობ: +995 568 58 58 58
Facebook: https://www.facebook.com/WRCommt

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი"-ს დირექტორის

ბრძანება № 17/ო

ქ. ქუთაისი

31 აგვისტო 2020 წელი

ქირურგიულ დეპარტამენტში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გაფართოების ღონისძიებების შესახებ

ქირურგიულ დეპარტამენტში, ოპერაციების ჩასატარებლად აქტიურად გამოიყენება ლაპარასკოპიული ტექნიკა. ლაპარასკოპიული მეთოდით ოპერაციების კიდევ უფრო დანერგვისა და გაფართოების მიზნით,

ვბრძანებ:

1. *სათანადო ჩვენებების შემთხვევაში ქირურგიულ დეპარტამენტში ოპერაციების ჩატარების მეთოდებს შორის პრიორიტეტი მიენიჭოს ლაპარასკოპიულ ჩარევებს.*
2. 10 სამუშაო დღის ვადაში შემუშავდეს კლინიკის შიდა პროტოკოლი ლაპარასკოპულ ქირურგიასთან დაკავშირებით. კოორდინატორი ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ბადრი ალფაიძე, შემსრულებელი - გადაუდებელი ქირურგიის ხელმძღვანელი - ბ-ნი ლევან ტყებუჩავა, დეპარტამენტის სხვა ქირურგებთან ერთად.

3. დაევალოს ქირურგებსა და გინეკოლოგებს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის მისაღებად დეტალური

ინფორმაცია მიაწოდონ პაციენტებს ლაპარასკოპიული მეთოდით ოპერაციის ჩატარების უპირატესობებზე, რომ აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს ოპერაციული მკურნალობის საუკეთესო ტაქტიკას და ოპტიმალურ არჩევანს.

4. წინადადება მიეცეს ქირურგებს და გინეკოლოგებს, ვისაც ამის საჭიროება გააჩნიათ, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით გაიარონ გადამზადების კურსი ლაპარასკოპიულ ქირურგიასა და გინეკოლოგიაში.

5. დაევალოს ადმინისტრაციის უფროსს ქალბატონ პ.ლუკინას ბრძანება დაუგზავნოს ქირურგიული დეპარტამენტის ყველა ექიმს მათ ელექტრონულ ფოსტებზე. ბრძანება აიტვირთოს ვებ-გვერდზე.

6. მუშაობის პროცესში წარმოშობილი პრობლემების შესახებ მოხდეს დაუყოვნებელი ინფორმირება გენერალური დირექტორის, კახა ნურალიძის.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს გენერალურ დირექტორს ბატონ კ. ნურალიძეს

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კახა ნურალიძე

გენერალური დირექტორი